პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 91 (5192) | ხუთშაბათი, 21 აპრილი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

ლოზუნგები 1938 წლის პირველი მაისისათვის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულნი არიან **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ლ. პ. ბერია, ი. ა. დევსურაშვილი, ი. ა. ჯავახიშვილი, გ. ი. კიკნაძე.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი (მე-2 გვ.)

პარტიული ცხოვრება: **ი. ყარუაშვილი** — განსახკომის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე (მე-3 გვერდი)

პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის („პრავდის“ მოწვინავე. მე-3 გვ.).

სახანძრო დაცვის 20 წლისთავის ზეიმი თბილისში (მე-4 გვერდი).

უცხოეთში:

ესპანეთის მთავრობის მიმართვა ერთა ლიგის საბჭოსადმი (მე-4 გვ.).

რესპუბლიკელებმა ტყვედ წამოიყვანეს 39 გერმანელი და იტალიელი მფრინავი (მე-4 გვ.).

ლოზუნგები 1938 წლის პირველი მაისისათვის

1. გაუმარჯოს პირველ მაისს — საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციური ძალების საბრძოლო დათვალიერებას!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დადექით მარქს-ენგელს-ლენინის ინტერნაციონალური დროშის ქვეშ!

3. ჩვენი პროლეტარული სალამი 1-ლი მაისის დღეს კლასობრივ ძმებს, კაპიტალის ტყვეებს, სისხლიანი ფაშისტური ტერორის მსხვერპლთ, მუშათა კლასის გამარჯვებისათვის მებრძოლთ!

4. ფაშიზმი ეს კაპიტალისტებისა და მემამულეების ტერორისტული პოლიტიკაა მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის წინააღმდეგ. ფაშიზმი ეს დაპყრობითი ომია. ფაშიზმი მსოფლიოს ხალხთა შორის მეგობრობის უბოროტესი მტერია. მოვახდინოთ ძალთა მობილიზაცია ფაშიზმთან საბრძოლველად!

5. ყველა ქვეყნის მუშებო, მუშა-ქალებო, გლეხებო და მშრომელებო! გაიფართოვეთ და განამტკიცეთ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის სახალხო ფრონტი! მშვიდობიანობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის, სოციალიზმისათვის!

6. ესპანეთის ხალხის ბრძოლა შინაური და უცხოური ფაშიზმის წინააღმდეგ მთელი მოწინავე და პროგრესიული კაცობრიობის საერთო საქმეა. სალამი ესპანეთის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის!

7. ძმური სალამი ჩინეთის დიად ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის იაპონელ და სხვა დამპყრობთა წინააღმდეგ!

8. „ჩვენ მშვიდობიანობის მომხრენი ვართ და მშვიდობიანობის საქმეს ვიცავთ. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზად ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას“ (სტალინი).

9. გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ, უძლეველ წითელ არმიას — სსრ კავშირის ხალხთა მშვიდობიანი შრომის მძლავრ ბურჯს, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპირათა ერთგულ დარაჯს!

10. სამშობლოს დაცვა არის სსრ კავშირის თვითეული მოქალაქის წმინდა მოვალეობა!

11. საბრძოლო სალამი წითელი არმიის ახალგაზრდა მებრძოლებს, რომლებიც 1-ლ მაისს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულების, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი ერთგულების ფიცს იღებენ!

12. გაუმარჯოს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტს — ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრების საიმედო დამცველს!

13. გაუმარჯოს საბჭოთა მფრინავებს, ჩვენი სამშობლოს ამაყ შვილებს, რომელთაც მიაღწიეს მსოფლიო საავიაციო რეკორდებს!

14. სალამი მესაზღვრე მებრძოლებს, **სოციალიზმის** ქვეყნის ფხიზელ გუშაგებს!

15. დაე იზრდებოდნენ და მტკიცდებოდნენ, დაე ეუფლებოდნენ ტექნიკას და იწრთობოდნენ ჩვენი მშობლიური, მძლავრი წითელი არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და წითელი ავიაცია!

16. გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ სსრ კავშირის მუშათა კლასის ინტერნაციონალური კავშირი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასთან! უფრო მაღლა ავწიოთ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დროშა!

17. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა **კავშირს — საბჭოთა** ხელისუფლების საფუძველს!

18. მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. საბჭოთა ქვეყანაში იზრდება და მტკიცდება თანასწორუფლებიან ხალხთა დიადი კავშირი. გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ კავშირს და დიად მეგობრობას!

19. გაუმარჯოს მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას საბჭოთა ხალხისა, რომელმაც მოიპოვა თავისუფლება და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით!

20. სტალინური კონსტიტუცია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრძოლისა და გამარჯვების შედეგია. გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიზმის კონსტიტუციას!

21. მოვახდინოთ უცხოეთის დაზვერვების მემარჯვენე-ტროცკისტულ დაჯირავებულთა მავნებლობის შედეგების სრული ლიკვიდაცია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში! გადავაქციოთ სსრ კავშირი სოციალიზმის მიუდგომელ სიმაგრედ!

22. ბოლშევიკური სალამი მრეწველობისა და ტრანსპორტის დამკვრელთა და დამკვრელ ქალთა მრავალმილიონიან არმიას, სტახანოველებს და სტახანოველ ქალებს,—ჩვენი ქვეყნის წარჩინებულ ადამიანებს!

23. მივაღწიოთ 1938 წლის — მესამე ხუთწლედის პირველი წლის სამეურნეო გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულებას! უფრო ფართოდ გავშალოთ მძლავრი სტახანოვური მოძრაობა!

24. მძიმე ინდუსტრიისა და მანქანათმშენებლობის მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ნახშირის, ნავთისა და ლითონის მაღალი მოპოვებისათვის, საუკეთესო მანქანების თავის დროზე გამოშვებისათვის, რაც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველს წარმოადგენს!

25. თავდაცვითი მრეწველობის მუშებო და მუშა-ქალებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! განამტკიცეთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება! შეაიარაღეთ მშობლიური წითელი არმია უახლესი ტექნიკით.

26. მსუბუქი მრეწველობის მუშებო და მუშა-ქალებო, მეთაურებო და ინჟინრებო! რაც შეიძლება მეტი ჩითი, აბრეშუმი, მაუდი, ტრიკოტაჟი და ფეხსაცმელი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს! იბრძოლეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის!

27. სალამი სოციალისტური მინდვრების სტახანოველებს, რომლებიც ბოლშევიკურად ასრულებენ საგაზაფხულო თესვის გეგმას!

28. კოლმეურნეებო და კოლმეურნე-ქალებო, საბჭოთა მეურნეობების აგრონომებო და მუშაკებო! იბრძოლეთ საგაზაფხულო თესვის სანიმუშოდ დამთავრებისა და მაღალი მოსავლისათვის! გაუმარჯოს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას!

29. ავამაღლოთ მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე!

30. მხურვალე სალამი გმირ პაპანინელებს, ჩრდილოეთის პოლუსის მამაც დამპყრობელებს, სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ შვილებს!

31. სსრ კავშირის ხალხთა კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების ახალი წარმატებებისა და მონაპოვრებისათვის!

32. გაუმარჯოს სსრ კავშირის თანასწორუფლებიან ქალს, სახელმწიფოს მმართველობის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული საქმეების მმართველობის აქტიურ მონაწილეს!

33. პიონერო ვაჟებო და გოგონებო! საბჭოთა სკოლის მოწაფეებო! დაეუფლეთ ცოდნას და ისწავლეთ გახდეთ მებრძოლებად ლენინ-სტალინის საქმისათვის.

34. საპირველმაისო სალამი საბჭოთა ქვეყნის სახელოვან ფიზკულტურელებს და ფიზკულტურელ ქალებს!

35. გაუმარჯოს კომკავშირს—ბოლშევიკური პარტიის მძლავრ რეზერვს და საიმედო თანაშემწეს! გაუმარჯოს ჩვენი სამშობლოს მშრომელ ახალგაზრდობას!

36. ღრმა ფართოდ გავშალოთ ჩვენი ნაკლოვანებების კრიტიკა და თვითკრიტიკა! განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება!

37. „კავშირი მასებთან, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა ყურად იღო მასების ხმა, — აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა“ (სტალინი).

38. გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე! ბოლო მოვუღოთ პოლიტიკურ უდარდელობას ჩვენს წრეში!

39. მოვსპოთ ხალხის მტრები —ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯაშუშები და მავნებლები, უცხოეთის დაზვერვათა დაქირავებული აგენტები!

40. ვამხილოთ ყველა და ყოველგვარი ფლიდები! გადავაქციოთ ჩვენი პარტია ბოლშევიზმის მიუდგომელ სიმაგრედ!

41. მუშებო და გლეხებო! გაშალეთ საარჩევნო კამპანია! წამოაყენეთ შეერთებულად მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში საუკეთესო ადამიანები, ლენინ-სტალინის საქმისათვის ბოლომდე თავდადებული ადამიანები!

42. სსრ კავშირის მშრომელებო! ამოირჩიეთ მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში ჩვენი სამშობლოს სახელოვანი პატრიოტები, ურყევი მებრძოლები მუშებისა და გლეხების ბედნიერებისათვის, **სოციალიზმისათვის!**

43. კომუნისტებო! უფრო მტკიცე კავშირი უპარტიო მასებთან! საარჩევნო კამპანიაში მთავარია—არ გაემიჯნოთ უპარტიოებს, არამედ იმოქმედოთ უპარტიოებთან ერთად და მათთან ერთად წამოაყენოთ კანდიდატები მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში!

44. გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოების მომავალ არჩევნებში!

45. გაუმარჯოს და განმტკიცდეს ჩვენი მძლავრი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

46. გაუმარჯოს ბოლშევიკების სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას—სსრ კავშირის მშრომელთა მოწინავე რაზმს!

47. გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს— ომის, ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს! გაუმარჯოს კომუნიზმს!

48. გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინის დიად, უძლეველ დროშას! გაუმარჯოს ლენინიზმს!

სრულიად - საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს სსრ მიწსახკომის კოლეგიის შესახებ

საქ. სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება

დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემდეგი შემადგენლობა: ს. გ. ხოშტარია (თავმჯდომარე), ი. პ. მაზდრინი, ა. ე. ზარნაძე, ბ. ა. იაკობაშვილი, ე. ლ. კობახიძე, ვ. ბ. მირიანაშვილი.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ვ. დეკანოზოვი

საქ. სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი რ. ჯელიძე

საქ. ალკკ ც. კ-ის პლენუმი

21 აპრილს მუშაობა დაამთავრა საქართველოს ალკკ ც. კ-ის მორიგმა II პლენუმმა.

საქართველოს ალკკ ც. კ-ის პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1. სოფლად კომკავშირის პროპაგანდისტული მუშაობის მდგომარეობის შესახებ (საქართველოს ალკკ სიღნაღის, მახარაძისა და ახალქალაქის რაიკომების მდივნების მოხსენებები).

2. „კომკავშირიდან გარიცხვისას კომკავშირული ორგანიზაციების მიერ დაშვებულ შეცდომებსა, საკ. ალკკ-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებების“ საკ. ალკკ ც. კ-ის V პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

პლენუმმა საქ. ალკკ ც. კ-ის გლეხი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ამხ. **შ. დგებუაძე.** პიონერგანყოფილების გამგედ — ამხ. **მ. თომაძე.** საქ. ალკკ ც. კ-ის მუშა ახალგაზრდობის განყ. გამგედ — ამხ. **ვ. ცხადაძე.** საქ. ალკკ ც. კ-ის სტუდენტი ახალგაზრდობის განყ. გამგედ — ამხ. **ა. შანიძე,** გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ პასუხისმგებელ რედაქტორად — ამხ. **ა. ა. მერცხულავა.**

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ქრონიკა

სსრ კავშირისა და ფინეთის მთავრობებს შორის წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება იმის შესახებ, რომ უახლოეს ხანში ლენინგრადში დახურულ იქნას ფინეთის საკონსულო. (საქდესი).

სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების სარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა, პროფესორთა და მასწავლებელთა პერსონალის წინასაარჩევნო სპერთო კრებამ ერთსულოვნად დაასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად:

იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი
ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი
ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი
ლავრენტი პავლეს-ძე ბერია
ივანე ალექსის-ძე დევსურაშვილი
ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი
გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე

19 აპრილს მუშაობის შემდეგ, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების სარემონტო ქარხანაში და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა პირველი წინასაარჩევნო კრებები, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანდიდატების წამოყენებას.

სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების სარემონტო ქარხნის ოთხიათასმა მუშამ, საინჟინრო - ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს შემკრებ საამქროში.

აქ, ამ ქარხანაში, დიდი სტალინი თავის ახალგაზრდობასაც მოუწოდებდა მუშათა კლასს მეფის თვითმპყრობელობასთან ბრძოლისათვის, ბედნიერი საამური ცხოვრების მოსაპოვებლად საჭირო ბრძოლის გაჩაღებისათვის. აი რატომ იყო, რომ ასეთი დაძაბული ყურადღებით, სიყვარულითა და სიხარულით უსმენდნენ შეკრებილი მუშები ამ მიტინგზე გამოსული ამხანაგების სიტყვებს.

პირველად გამოვიდა უპარტიო მუშა, ქარხნის საუკეთესო სტახანოველი ნიკოლოზ ივანეს-ძე ცილიკინი. თავის ამაღელვებელ და მგზნებარე სიტყვაში მან სთქვა:

— ჩვენ, უპარტიონი, კომუნისტებთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველ კანდიდატად ვასახელებთ იმას, ვის სახელსაც უდიდესი სიამაყით ატარებს ჩვენი ქარხანა, ხალხთა საყვარელ ბელადს—იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

თავისი ბელადისა და ლენინ-სტალინის დიდი პარტიის მხურვალე სიყვარულისა და ერთგულების, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის დაურღვევლობის ერთ ძლიერ სიმფონიად შეერთებულმა მჭუხარე ტაშმა და ორკესტრის ხმებმა, რომელიც ასრულებდა პროლეტარულ ჰიმნს — „ინტერნაციონალს“, დაჰფარა ორატორის უკანასკნელი სიტყვები.

ტრიბუნაზე გამოჩნდა კომუნისტი-სტახანოველი ზეინკალი ივანე კუზმას-ძე სელიხოვი.

— ჩვენ ვასახელებთ აგრეთვე,— სთქვა მან,—ჩვენი ბელადის საუკეთესო თანამებრძოლის, რკინის სახალხო კომისრის, საყვარელი ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის კანდიდატურას, რომლის ხელმძღვანელობითაც ტრანსპორტი ჩვენი სოციალისტური მეურნეობის მოწინავე რიგებში ჩადგა.

დიდხანს არ შეწყვეტილა მჭუხარე ტაში რკინიგზელთა არმიის სახელოვანი სარდლის—ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩის პატივსაცემად.

სტახანოველმა ზეინკალმა სტალინური გაწვევის ნაშობიანმა, ვლადიმერ არტემის-ძე ქაფიანიძემ წამოაყენა ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას კანდიდატურა.

— ჩვენ,—სთქვა მან თავის სიტყვის დასასრულს, რომელიც მჭუხარე ტაშით დამთავრდა, — ვასახელებთ ერთგული სტალინელის, საქართველოს ბოლშევიკებისა და მთელი ქართველი ხალხის ურყევი ხელმძღვანელის ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას კანდიდატურას, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ორდენოსანი საქართველოს აყვავება, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით ჩატარება, რის შედეგადაც საქართველოს რესპუბლიკა ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში ჩადგა.

სტახანოველმა ხარატმა შოთა დავითის-ძე კოშაძემ, საერთო მოწონებით და ტაშით, წამოაყენა ქარხნის საუკეთესო სტახანოველის, საბჭოთა რკინიგზელი ზეინკალის ივანე ალექსის-ძე დევსურაშვილის კანდიდატურა, რომელიც თავისი საუკეთესო მუშაობისათვის დაჯილდოებულია სტალინური გაწვევის ნიშნით და რომელმაც მთავრობისა და პარტიის ნდობა დაიმსახურა.

ზედიზედ გამოდიან ქარხნის საუკეთესო ადამიანები. საამქროს უფროსის — ამხ. კოჭლავაშვილის შემდეგ გამოდის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე — ამხ. მიქიაშვილი.

თავის ბრწყინვალე და მგრძნობიარე სიტყვებში ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულ ამხანაგებს.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია:

„ჩვენ, სტალინის სახელობის ორთქლმავლებისა და ვაგონების სარემონტო ქარხნის მუშები, მოსამსახურეები და საინჟინრო-ტექნიკური მუშაკები, რიცხვით 4.000 კაცი, შევიკრიბენით რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მიძღვნილ მიტინგზე, გამოვთქვამთ უსაზღვრო სიხარულს ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით დიდი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე.

ამ სასიხარულო და ბედნიერ დღეებში მთელი ჩვენი განუსაზღვრელი სიყვარულის და ერთგულების გრძნობები მიმართულია ამ კონსტიტუციის დიდი შემოქმედისაკენ — ჩვენი მამის, მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგ **სტალინისაკენ.**

ჩვენ შორის ათეულობით და ასეულობით მოიპოვებიან ისეთი მუშები, რომელთაც კარგად ახსოვთ მეფის სისხლიანი თვითმპყრობელობის მძიმე წლები და ქართველი ხალხის დაუძინებელი მტრების — ქართველი მენშევიკებისა და სხვა ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური პარტიების აღვირახსნილი ბატონობის პერიოდი.

რაღაც კოშმარულ სიზმრად გვეჩვენება ჩვენ ეს წარსული, რომელმაც ამდენი მწუხარება და ტანჯვა მოგვიტანა.

ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ აქ, ამ ქარხანაში, ხოლო წინათ ამიერ-კავკასიის რკინიგზების მთავარსახელოსნოებში, ჩვენი დიდი ბელადი, ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებში, გვეუბნებოდა დიადი სიმართლის სიტყვებს და მხურვალედ მოგვწოდებდა ბრძოლისაკენ ტირანების დამხობისათვის, ნათელი მომავლისათვის და გვრაზმავდა და გვაკავშირებდა ჩვენ ამ ბრძოლისათვის.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროშით, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელმაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკურ პარტიას, საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, მთელმა ქართველმა ხალხმა მოიპოვა თავისი ნამდვილი განთავისუფლება და მიაღწია მთელი სახალხო მეფარნეობისა და თავის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ჯერ არნახულ და სხვა ხელისუფლების დროს შეუძლებელ აყვავებას.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ყოფილი რუსეთის იმპერიის ყველა ჩაგრული ხალხი და გაიერთიანა ისინი სოციალისტური რესპუბლიკების ურყევ ძმურ კავშირად, დიდ და უძლეველ სსრ კავშირად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნები ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვებაა. ეს არჩევნები იწვევენ მუშათა კლასის ახალი ენერგიისა და ენტუზიაზმის ატალღებას, იმ მუშათა კლასისა, რომელიც მზად არის თავი დასდოს ჩვენი ბედნიერი სამშობლოსათვის.

ხალხის საზიზღარი მტრები, ფაშიზმის ტროცკისტ - ბუხარინელი და სხვა აგენტები, ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები ცდილობდნენ ხელი აღემართათ ჩვენი ბედნიერებისა და ჩვენი სიხარულის წინააღმდეგ და კისერზე დაედგა ჩვენთვის ფაშიზმის სისხლიანი უღელი, მაგრამ ვერ შესძლეს და ვერც შესძლებენ ვერასოდეს ამ საზიზღარ საქმეს.

პარტიული და უპარტიო ბოლშევიკების მჭიდრო ერთობაში, კომუნისტებისა და უპარტიოების დიად სტალინურ ბლოკში ერთი იდეით შედუღებულნი, ჩვენ, ქარხნის მუშათა კოლექტივი, რომლებიც სიამაყით ვატარებთ დიდი სტალინის სახელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ვასახელებთ ჩვენს ბელადს, მასწავლებელს და მეგობარს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს —იმას, ვისი სახელიც იწვევს განუსაზღვრელი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობას, ვინც მიგვიყვანა ჩვენ უდიდეს გამარჯვებამდე ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ჩვენ ვასახელებთ კანდიდატად ჩვენი ბელადის საუკეთესო თანამებრძოლს, რკინის სახალხო კომისარს, ყველასათვის საყვარელ ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩს, რომლის ხელმძღვანელობითაც სოციალისტური ტრანსპორტი გამოვიდა ჩვენი სოციალისტური მეურნეობის მოწინავე რიგში.

ჩვენ კანდიდატად ვასახელებთ საქართველოს ბოლშევიკებისა და მთელი ქართველი ხალხის შესანიშნავ ხელმძღვანელს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას,** რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის აყვავება, რომელიც ჩვენი დიადი სამშობლოს— სსრ კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგებში ჩადგა.

ჩვენ კანდიდატად ვასახელებთ კიდევ ჩვენი ქარხნის საუკეთესო სტახანოველს, თავისი თავდადებული მუშაობისათვის სტალინური ნიშნის მიმღებს, ჩვენს საპატიო რკინიგზელს ივანე ალექსის-ძე **დევსურაშვილს.**

გაუმარჯოს დიად სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, ჩვენი გამარჯვებების ბრწყინვალე ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენ ბელადს დიდ **სტალინს!**

დიდი აღფრთოვანებითა და ალტაცებით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორებისა და მასწავლებლების წინასაარჩევნო საერთო კრება, რომელსაც სამი ათასზე მეტი კაცი დაესწრო.

ღრმა მღელვარებით უსმენდნენ დამსწრენი გამოსული ამხანაგების სიტყვებს. მჭუხარე და ოვაციაში გარდამავალი ხანგრძლივი ტაშით კრებამ ერთსულოვნად მიიღო წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად წამოყენებულ იქნას იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, აგრეთვე პროფესორი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ივანეს-ძე კიკნაძე. (საქდესი).

19 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა სტუდენტთა და მასწავლებელთა კრება, რომელზედაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად დასახელებულ იქნენ ამხანაგები: სტალინი, მოლოტოვი, პროფესორი ა. ჯავახიშვილი და უნივერსიტეტის რექტორი ამხ. კიკნაძე.

ფოტო გინზბურგისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის აკრძალვის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ გაუფრთხილებიათ, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომ სახიანია კოლმეურნეთა ხელაღებით გარიცხვა კოლმეურნეობებიდან, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ მიუთითებიათ, რომ ასეთი პრაქტიკა ანტიპარტიულია და ანტისახელმწიფოებრივია. მიუხედავად ამისა, ბევრ ოლქსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში ადგილი აქვს კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა დაუსაბუთებლად გარიცხვის ფაქტებს. კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვას გადაახვევებმა და დამახინჯებებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღეს სვერდლოვსკის, ნოვოსიბირსკის, სმოლენსკის, კალინინის, ყამენეც-პოდოლსკის, ჟიტომირის ოლქებში, ალტაის, კრასნოდარის, ორჯონიკიძის მხარეებსა და ყაზახეთის სს რესპუბლიკაში. სსრ კავშირის სახკომსაბჭო და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის მაგნე პრაქტიკას ადგილი აქვს სხვა ოლქებშიც.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობათა გამგეობები და თავმჯდომარეები იმის ნაცვლად, რომ დაიცვან სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება და არ დაუშვან თვითნებობა კოლმეურნეთა მიმართ, თითონ არიან უკანონო მოქმედებათა მატარებლები. შემოწმებით გამოირკვა, რომ კოლმეურნეობებიდან გარიცხვის დიდი უმრავლესობა სრულიად დაუსაბუთებელია და ყოველგვარი სერიოზული საბაბის გარეშე, სრულიად მცირემნიშვნელოვანი მოტივებით ხდება. კოლმეურნეობებიდან უკანონოდ გარიცხვის ყველაზე გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს ამ ოჯახთა წევრების გარიცხვა კოლმეურნეობებიდან, რომელთა მამები დროებით თუ მუდმივ სამუშაოზე წავიდნენ სახელმწიფო საწარმოებში. კოლმეურნეობებიდან ასეთი გარიცხვა ოჯახური კავშირის ნიშნით ძირფესვიანად ეწინააღმდეგება სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებას.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, ვიდრე კოლმეურნეობიდან გარიცხვის ნებას დართავდეს, ითვალისწინებს აღმზრდელობითი ხასიათის მთელ რიგ შუალედს გამაფრთხილებელ ზომებს იმ ცალკეულ კოლმეურნეთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კოლმეურნეობის შინაგანაწესს, მაგალითად: დამრღვევის იძულება გადაიკეთოს არაკეთილხარისხოვნად შესრულებული სამუშაო შრომა-დღეების დაურიცხავად, გაფრთხილება, საყვედური, გაკიცხვა საერთო კრებაზე, შავ დაფაზე შეტანა, ჯარიმა 5 შრომადღემდე, დაბალ სამუშაოზე გადაყვანა, სამუშაოდან დროებით გადაყენება. მაგრამ კოლმეურნეობათა გამგეობანი რატომღაც არ იყენებენ ამ ზომებს და მთელ რიგ შემთხვევებში რიცხავენ კოლმეურნეებს კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეობაში შრომაგანაწესის წესების უბრალო დარღვევისათვის.

თუ სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით არტელიდან გარიცხვა შეიძლება მხოლოდ არტელის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და ისიც არტელის ყველა წევრის არანაკლებ ორი მესამედის სავალდებულო მონაწილეობით, სინამდვილეში ეს საწესებო წესი ძალიან ხშირად ირღვევა და იშვიათი არ არის შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობიდან რიცხავს კოლმეურნეობის გამგეობა და კოლმეურნეობის მართო თავმჯდომარეც კი.

რაიონების ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები იმის ნაცვლად, რომ შეაკაოხ და გამოასწორონ კოლმეურნეობებიდან გარიცხვის ასეთი მავნე პრაქტიკა, არ ღებულობენ გადამწყვეტ ზომებს იმ თვითნებობის აღსაკვეთად, რომელსაც კოლმეურნეთა მიმართ უშვებენ, უსულგულო - ბიუროკრატიულად ეკიდებიან კოლმეურნეთა ბედს და მათს პეტიციებს კოლმეურნეობებიდან უკანონოდ გარიცხვაზე, დაუსჯელად სტოვებენ იმ პირებს, რომლებმაც თვითნებობა გამოიჩინეს კოლმეურნეთა მიმართ, და ხშირად მთელი თავისი როლი დაჰყავთ კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვის ფაქტების უბრალო ჩაწერაზე. ამ საკითხის გარშემო ზემდგომ საბჭოთა ორგანოებისათვის სტატისტიკური ანგარიშგების გადაცემაზე. უფრო მეტიც. ეს მუშაკები კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და გამგეობებს ხშირად თითონ აყენებენ ამ გზაზე, რომ უკანონოდ გარიცხონ კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეები, სოციალურად უცხო და კლასობრივად-მტრული ელემენტებისაგან კოლმეურნეობათა გაწმენდის საბაბით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი სთვლიან, რომ ასეთ პრაქტიკას საფუძვლად უდევს კოლმეურნეობათა ბევრი ხელმძღვანელი შუშაკის, აგრეთვე რაიონების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელების ფორმალური და უსულგულობიუროკრატიული დამოკიდებულება კოლმეურნეობის საერთო კრების, კოლმეურნეთა ბედისადმი, ცალკეულ კოლმეურნეთა ბედისადმი. ასეთ ხელმძღვანელებს არ ესმით, რომ კოლმეურნეობიდან გარიცხვა ნიშნავს — წაართვა მას არსებობის წყარო, ნიშნავს არა მარტო მის შერცხვენას საზოგადოებრივი აზრის წინაშე, არამედ იმასაც, რომ განუმზადო მას მძიმერი არსებობა. მათ არ ესმით, რომ კოლმეურნეობიდან გარიცხვა ხელოვნურად ჰქმნის კოლმეურნეობებიდან გარიცხულთა უკმაყოფილებასა და გაბოროტებას, ბევრ კოლმეურნეს უნერგავს კოლმეურნეობაში თავისი მდგომარეობისადმი რწმენის უქონლობას, რაც არ შეიძლება ხელსაყრელი არ იყოს ხალხის მტრებისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. აიკრძალოს კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა გარიცხვა ოჯახის წევრების გარიცხვა იმ მიზეზით, რომ ოჯახის ერთერთი წევრი წავიდა დროებითს ან მუდმივ სამუშაოზე სახელმწიფო საწარმოში.

2. აიკრძალოს კოლმეურნეობებიდან კოლმეურნეთა ოჯახის წევრების გარიცხვა შინაგანაწესის დარღვევისათვის.

3. აიკრძალოს კოლმეურნეობებიდან გარიცხვა შინაგანაწესის დარღვევისათვის.

4. ამიერიდან დაწესდეს, რომ კოლმეურნეობიდან კოლმეურნეების გარიცხვა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა კოლმეურნეობის იმ წევრთა მიმართ, რომელნიც აშკარად გაუსწორებელნი არიან, ძირს უთხრიან და დეზორგანიზაციას შეაქვთ კოლმეურნეობაში; ეს ზომა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურული იქნება სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ყველა გამაფრთხილებელი და აღმზრდელობითი ხასიათის ზომები და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დადგენილი გარიცხვის წესის სასტიკი დაცვით; ე. ი. არტელის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ესწრება არტელის წევრთა საერთო რაოდენობის $^2/_3$ მაინც.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც უზრუნველყოფილ უნდა იქნას უალრესად გულისხმიერი მოპყრობა კოლმეურნეობებიდან გარიცხულთა პეტიციებისადმი.

5. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება კოლმეურნეობიდან კოლმეურნის გარიცხვის შესახებ არ შედის ძალაში და კოლმეურნეს სავსებით ინარჩუნებს კოლმეურნეობის წევრის ყველა უფლებას, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას საბოლოოდ არ განიხილავს რაიაღმასკომი.

6. გაფრთხილებულ იქნან კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეები და წევრები, აგრეთვე რაიონის პარტიული და საბჭოთა მუშაკები, რომ ამ დადგენილების დამრღვევნი მიცემული იქნებიან სამართალში, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავენი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1938 წ. 19 აპრილი.

ერთპიროვნულ მეურნეობათა მიმართ გადასახადთა დაწესების წესის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

მრავალრიცხოვანი ფაქტების საფუძველზე სსრ კავშირის სახკომსაბჭო და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადასტურებენ, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანები რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში არღვევენ მთავრობისა და პარტიის პოლიტიკას და დადგენილებებს ერთპიროვნულ მეურნეთა მიმართ, საბჭოთა ხელისუფლებით დაწესებულია სახელმწიფო ვალდებულებანი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის გადასახადების, მარცვლეულის ჩაბარებისა და ხორცის ჩაბარების მხრივ. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ უზრუნველყონ კახოწით დაწესებულ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულება ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ, — ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები უშვებენ ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ერთპიროვნული მეურნეები ფაქტიურად თავს იძვრენენ სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებისაგან. მთელ რიგ ოლქებსა და მხარეებში ერთპიროვნულ მეურნეებს სრულიად არ აბაბენ ხორცის ჩაბარების საქმეში, ხორცის ჩაბარების ხაზით რაიონობრივ დავალებათა შესრულება კი ეკისრებათ კოლმეურნეობებს. ამგვარად, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები ერთპიროვნულ მეურნეობებს ფაქტიურად აყენებენ კოლმეურნეობათა წინაშე უპირატეს მდგომარეობაში, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს.

ერთპიროვნულ მეურნეობებში ცხენებს, რომლებიც გადასახადით არ იბეგრებიან, ერთპიროვნული მეურნეები იყენებენ, როგორც წესი, არა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საწარმოებლად თავიანთ მეურნეობაში, არამედ სპეკულაციისა და მოგების საშუალებად.

კოლმეურნეობათა გამგეობები, რაიონული საბჭოთა და პარტიული ორგანოების წაყრუებით, არღვევენ რა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას, ძალიან ხშირად მიმართავენ ერთპიროვნულ მეურნეთა დაჭირავებას კოლმეურნეობებში სამუშაოდ და აძლევენ მათ უფრო მაღალ სასყიდელს, ვიდრე კოლმეურნეები იღებენ შრომადღეებში, რასაც არ შეუძლიან არ შეარყიოს დისციპლინა კოლმეურნეობებში.

ერთპიროვნული მეურნეობებისადმი ასეთ არასწორი დამოკიდებულების შედეგად პირდაპირი ზიანი ადგება კოლმეურნეობებში ერთპიროვნულ მეურნეობათა შემდგომი ზრდის საქმეს.

ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საბჭოთა და პარტიული ორგანოები დიდ შეცდომებს უშვებენ ერთპიროვნული მეურნის მიმართ.

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი **ადგენენ:**

1. დაევალოს ნაცკომპარტიებს, ცენტრალურ კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს, საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს ბოლო მოუღონ ერთპიროვნული მეურნის მიმართ წაყრუების ანტისაბოლშევიკურ ფაქტებსა და ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკას და მტკიცედ ადევნონ თვალყური იმას, რომ ერთპიროვნულმა მეურნეობებმა ზუსტად შეასრულონ ყველა საკელმწიფო ვალდებულება გადასახადების, მარცვლეულის ჩაბარებისა და ხორცის ჩაბარების ხაზით და ა. შ.

2. აღდგენილ იქნას 1938 წლის 25 აპრილიდან სახელმწიფო გადასახადი ერთპიროვნულ მეურნეობათა ცხენებზე.

3. დაევალოს რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს არ დაუშვან შემდეგში ერთპიროვნულ მეურნეთა მიერ ყოველგვარი აღგილობრივი ბეგარის (საგზაო სამუშაოები, ხე-ტყის გამოზიდვა, სკოლებისა და საავადმყოფოების მომსახურება და ა. შ.) მოხდისაგან თავის დაძვრენა, არიდება და ამით არ დაუშვან ერთპიროვნულ მეურნეთა არავითარი უპირატესობა კოლმეურნეებთან შედარებით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1938 წლის 19 აპრილი.

კოლმეურნეობებში შემოსავლის არასწორად განაწილების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ საკოლმეურნეო წყობილების სრული გამარჯვებისა და საკოლმეურნეო მინდვრების მოსავლის გადიდების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც საერთო შემოსავალი კოლმეურნეობებში, ისე კოლმეურნეთა შემოსავალიც შრომადღეების მიხედვით.

ამავე დროს სსრ კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მრავალი ფაქტის საფუძველზე აღნიშნავენ, რომ მთელი რიგი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებში ფულადი შემოსავალი ნაწილდება არასწორად, მთავრობისა და პარტიის პოლიტიკის და კოლმეურნეთა ინტერესების პირდაპირ საწინააღმდეგოდ. კოლმეურნეობათა გამგეობანი, რაიონთა, ოლქთა, მხარეთა და რესპუბლიკათა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პირდაპირი წაყრუებით, შემოსავლის ძირითად ნაწილს ახმარებენ საზოგადოებრივი შეღნობების აგებას კოლმეურნეობებში, საწარმოო და ადმინისტრატიულ ხარჯებს. რის შედეგად იმ ფულადი შემოსავლის წილი, რომელიც კოლმეურნეთა შრომადღეებზე ნაწილდება, შემცირებული გამოდის, რაც ხშირად აძლიერებს კოლმეურნეს სამუშაოდ წავიდეს სამუშაო კოლმეურნეობის გარეთ. ხოლო თვით კოლმეურნეობები ხშირად განიცდიან მუშა-ხელის ნაკლებობას.

მაგალითად, თათართა ასს რესპუბლიკაში 172 კოლმეურნეობაში შრომადღეებზე საშუალოდ განაწილებულ იქნა შემოსავლის მხოლოდ 28 პროცენტი, გორკის ოლქის 1279 კოლმეურნეობაში შრომადღეებზე განაწილებულ იქნა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავლის მხოლოდ 33 პროცენტი. ზოგიერთ ოლქსა და რესპუბლიკაში (როსტოვის, ვორონეჟისა და რიაზანის ოლქები, ყაზახეთის სსრ და სხვა), არიან კოლმეურნეობები, რომლებშიაც ფულადი შემოსავალი 1937 წელს სრულებით არ განაწილებულა შრომადღეებზე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს საკმაო რაოდენობით მოეპოვებათ ფაქტები იმის შესახებ, რომ ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა ოლქებსა, მხარეებსა და რესპუბლიკებში.

იმის ნაცვლად, რომ გამუდმებით იზრუნონ კოლმეურნეთათვის შრომადღის გადიდებაზე და კოლმეურნეთა პირადი ინტერესების სწორად შეხამებაზე საზოგადოებრივ ინტერესებთან კოლმეურნეობაში კოლმეურნეობათა გამგეობანი გატაცა კაპიტალურმა მშენებლობამ, გადამეტებულმა საწარმოო ხარჯებმა და კოლმეურნეობების ადმინისტრატიულ-სამეურნეო მართვა-გამგეობის ხარჯებმა. განუყოფელ ფონდებში გადარიცხვის წილი, ხარჯები ადმინისტრატიულ-სამეურნეო საჭიროებებზე და ხარჯები კულტურულ საჭიროებებზე არა თუ არ შემცირდა, არამედ, პირიქით, ეს ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით დადგენილ ნორმებს.

სასოფლო - სამეურნეო არტელის წესდება მოითხოვს, რათა სამუშაოს კოლმეურნეობებში ასრულებდნენ კოლმეურნეობის წევრები და მხოლოდ განსაკუთრებით გამონაკლის შემთხვევებში იქნას დაშვებული მუშახელის დროებით დაქირავება. სინამდვილეში კი ცოტა როდია ისეთი ფაქტი, როცა, შრომის ცუდი ორგანიზაციის შედეგად, კოლმეურნეობათა გამგეობანი ფულითა და ნატურით მნიშვნელოვან საშუალებებს ხარჯავენ მუშახელის გარედან დაქირავებაზე. რაც იწვევს კოლმეურნეობის საშუალებათა განიავებას და კოლმეურნეობის შემოსავლის შემცირებას.

ნაცვლად იმისა, რომ მზრუნველობით მოეპყრან კოლმეურნეობაში მიღებული პროდუქციის სწორად გამოყენებას, შენახვასა და რეალიზაციას კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის გასადიდებლად, ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობანი ხშირად მთელი წლის მანძილზე მიმართავენ პარტიისა და მთავრობის მიერ დაგმობილ პრაქტიკას, ანიავებენ საკოლმეურნეო პროდუქციას დაბალ ფასებში ან სრულიად უფასოდ გასაცემად როგორც. კოლმეურნეობის შიგნით, ისე კოლმეურნეობის გარეთ. პროდუქციას დაუდევრად ინახავენ, რაც იწვევს პროდუქტების მასობრივ გაფუჭებას, ამის საერთო შედეგი კი ის არის, რომ ასეთ კოლმეურნეობებში შრომადღეების მიხედვით კოლმეურნეობისათვის მისაცემი ფულადი თანხა მცირე გამოდის.

საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური და რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები ნაცვლად იმისა, რომ აღეკვეთათ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა და კოლმეურნეთა პირადი ინტერესების შელახვა, არსებითად აქეზებდნენ ამ ანტისაკოლმეურნეო პრაქტიკას.

რაიონების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს თითონ არ ესმით და კოლმეურნეობებს არ უმარტავენ, რომ კოლმეურნეობებში შემოსავლის მნიშვნელოვანმა ზრდამ და ნაგებობების, პირუტყვის, მანქანების სახით (როცა კოლმეურნეობებს მომსახურებას უწევენ მტს-ის მანქანები) მათი საზოგადოებრივი ფონდების განმტკიცებამ უკვე შეჰქმნა სრული შესაძლებლობა, რომ შემცირდეს კოლმეურნეობათა შემოსავლის გადარიცხვები მათს საზოგადოებრივ ფონდებში, კაპიტალურ და საწარმოო ხარჯებზე და რომ კოლმეურნეობის ფულადი შემოსავლის მეტი ნაწილი განაწილდეს შრომადღეებზე.

რაიონების, ოლქებისა და რესპუბლიკების პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ივიწყებენ, რომ შრომადღის გადიდების ამოცანისადმი, კოლმეურნეობის საშუალებათა განიავებისა და დატაცების ფაქტებისადმი უდარდელი დამოკიდებულების ასეთი პრაქტიკა ობიექტურად ანტისაკოლმეურნეო და მავნებლური პრაქტიკაა.

ჩვენს პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელებს უნდა ახსოვდეთ, რომ კოლმეურნეობებში მთელ რიგ ადგილზე საწარმოო და კაპიტალურ ხარჯთა ხელოვნურად გაბერვას და შრომადღეების მიხედვით გასანაწილებელი ფულადი შემოსავლის შემცირებას პროგრესიული მიზნით შეგნებულად უწყობდნენ ხელს ხალხის მტრები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ სამიწათმოქმედო და სხვა ორგანოებში, რათა ძირი გამოეთხარათ კოლმეურნეობებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაგმობილ იქნას, როგორც ანტისაკოლმეურნეო, პრაქტიკა უდარდელი დამოკიდებულებისა კოლმეურნეთა შრომადღისადმი და კოლმეურნეობის შემოსავლის გაბნიავებისადმი გადაჭარბებულ კაპიტალურ, საწარმოო და ადმინისტრატიულ - სამეურნეო ხარჯებზე.

2. გაუქმდეს არტელის ფულადი შემოსავლის განაწილების არსებული წესი, გათვალისწინებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით, და ამიერიდან დაწესდეს, რომ არტელი კოლმეურნეთა შორის შრომადღეებზე ანაწილებს არტელის მთელი ფულადი შემოსავლის არა ნაკლებ 60—70 პროცენტისა.

3. დაწესდეს, რომ ანარიცხები კაპიტალური ხარჯებისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს ფულადი შემოსავლის 10 პროცენტს; ამასთან, სახსრები კაპიტალური ხარჯებისათვის მიმდინარე წელს გადაირიცხება გასული წლის შემოსავლიდან.

4. დაწესდეს, რომ კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული წლიური საგასავლო ხარჯთაღრიცხვიდან კოლმეურნეობის საწარმოო საჭიროებისათვის გამგეობას, ამის საბოლოო გამორკვევამდე, თუ რა პირი უჩანს მოსავალს, შეუძლიან დახარჯოს არაუმეტეს 70 პროცენტისა ხარჯთაღრიცხვის საგასავლო ნაწილში გათვალისწინებული თანხებიდან. დანარჩენი 30 პროცენტი რეზერვში რჩება და დაიხარჯება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ გამორკვეულა, თუ რა პირი უჩანს მოსავალს და როდესაც კოლმეურნეთა საერთო კრება გადაწყვეტილებას.

ამის შესაბამისად შეიცვალოს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-12 მუხლი და ფორმულირებულ იქნას იგი შემდეგნაირად:

„12. არტელის მიერ მიღებული ფულადი შემოსავლიდან

არტელს:

ა) შეაქვს სახელმწიფოსათვის კანონით დაწესებული გადასახადები და ისტუმრებს სადაზღვეო გადასახდელს;

ბ) ანაწილებს არტელის ფულადი შემოსავლის არანაკლებ 60-70 პროცენტისა, არტელის წევრებს შორის შრომადღეების მიხედვით;

გ) ეწევა საჭირო ხარჯებს მიმდინარე საწარმოო საჭიროებათათვის —როგორიც არის, მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიმდინარე რემონტი, პირუტყვის მკურნალობა, მინდვრის მავნებლებთან ბრძოლა და სხვ.;

დ) ჰფარავს არტელის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯებს და გამოჰყოფს ამისთვის ფულადი შემოსავლის არაუმეტეს 2 პროცენტისა;

ე) გამოჰყოფს თანხებს კულტურულ საჭიროებათათვის, როგორიც არის, მაგალითად: ბრიგადირებისა და სხვა კადრების მომზადება, საბავშვო ბაგების ჩამოყალიბება, რადიოს მოწყობა;

ვ) ავსებს არტელის განუყოფელ ფონდს, რომ შეიძინოს მომავალ წელს სასოფლო-სამეურნეო იარაღები და პირუტყვი, გადაიხადოს საამშენებლო მასალების ფასი, გაუსწორდეს მუშებს. რომლებიც მოწვეულნი არიან მშენებლობაზე გარედან, შეიტანოს სასოფლო-სამეურნეო ბანკში მორიგი შესატანი გრძელვადიანი სესხის დასაფარავად; ამასთან, განუყოფელი ფონდების შევსება არ უნდა აღემატებოდეს არტელის ფულადი შემოსავლის 10 პროცენტს.

ყველა შემოსავალი უსათუოდ იწერება არტელის შემოსავალში არაუგვიანეს შემოტანის დღისა.

როგორც შემოსავალზე, ისე სახსრების დახარჯვაზე არტელის გამგეობა ადგენს წლიურ ხარჯთაღრიცხვას, რომელიც ძალაში შედის მხოლოდ არტელის წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ.

სახსრების ხარჯვა გამგეობას შეუძლიან მხოლოდ იმ სტატიების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით, — თანხების თვითნებური გადაწერა საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ერთი სტატიიდან მეორეში არ შეიძლება დაშვებულ იქნას გამგეობის მიერ და თანხების ერთი სტატიიდან მეორეში გადატანისათვის გამგეობა ვალდებულია გამოითხოვოს საერთო კრების ნებართვა.

კოლმეურნეთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული წლიური საგასავლო ხარჯთაღრიცხვიდან კოლმეურნეობის საწარმოო საჭიროებისათვის გამგეობას, ამის საბოლოო გამორკვევამდე, თუ რა პირი უჩანს მოსავალს, შეუძლიან დახარჯოს არაუმეტეს 70 პროცენტისა ხარჯთაღრიცხვის საგასავლო ნაწილში გათვალისწინებული თანხებიდან. დანარჩენი 30 პროცენტი რეზერვში რჩება და დაიხარჯება მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ გამორკვეულა, თუ რა პირი უჩანს მოსავალს და როცა გადაწყვეტილებას გამობრტანს კოლმეურნეთა საერთო კრება.

არტელი თავის თავისუფალ ფულად სახსრებს ინახავს ბანკში ან შეხახველ სალაროში თავის მიმდინარე ანგარიშზე. მიმდინარე ანგარიშიდან ჩამოწერა ხდება მარტო არტელის გამგეობის ბრძანებით, რომელიც ძალაშია, თუ ის ხელმოწერილია არტელის თავმჯდომარისა და მოანგარიშის მიერ".

5. დაწესდეს, რომ თვითეული კოლმეურნეობის ხარჯთაღრიცხვა საერთო კრების დამტკიცების შემდეგ შეტანილ იქნას განსახილველად რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში რომელიც შეტანილ ხარჯთაღრიცხვას იხილავს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თანადასწრებით.

6. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობაში გარედან დაქირავებული მუშახელის აყვანა გამონაკლის შემთხვევაში, როგორც ეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებითაა გათვალისწინებული, შეიძლება მოხდეს მხოლოდ კოლმეურნეთა საერთო კრების თანხმობით. დაევალოს საკ. კ. პ. (ბ) რაიკომების მდივნებსა და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებს აკრძალვა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-13 პუნქტის ბოროტად გამოყენება და მისი დარღვევა, რაც ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს გარდა, კრძალავს არაკოლმეურნეთაგან დაქირავებული შრომით სარგებლობას.

7. დაევალოს საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებსა და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს აღადგინონ ყველა კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიების მუშაობა იმ ანგარიშით, რომ სარევიზიო კომისიები თავიანთ სარევიზიო მუშაობას მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ისე, როგორც ამას მოითხოვს წესდება და არ კმაყოფილდებოდნენ გამგეობის ანგარიშზე ფორმალური დასკვნის მიცემით მხოლოდ წლის ბოლოს.

8. დაწესდეს, რომ სახელმწიფო და სასოფლო-სამეურნეო ბანკების განყოფილებანი კოლმეურნეობებს მარტო იმ შემთხვევაში აძლევენ კრედიტებს, როდესაც ამის შესახებ არსებობს კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილება.

9. დაევალოს საოლქო კომიტეტებს, სამხარეო კომიტეტებს, ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო, სამხარეო აღმასკომებს და რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს და აგრეთვე პროკურორებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ ის პირნი, რომელნიც დამნაშავენი არიან საკოლმეურნეო სახსრების უკანონოდ ხარჯვაში, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და კოლმეურნეთა ინტერესების დარღვევაში, და ეს მოქმედებანი განიხილონ, როგორც ღალატი კოლმეურნეობათა საქმისადმი და დახმარების გაწევა ხალხის მტრებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1938 წლის 19 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით და საბჭოთა უკრაინის მუსიკოსთა კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის კიევის სახელმწიფო კონსერვატორია დაჯილდოებულ იქნას **ლენინის ორდენით.**

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წ. 17 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ

კიევის სახელმწიფო კონსერვატორიის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით და საბჭოთა უკრაინის მუსიკოსთა კადრების მომზადების საქმეში დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე **მიხაილოვი**—კონსერვატორიის პროფესორი.

2. ელენე ალექსანდრეს-ასული **მურავიოვა**—კონსერვატორიის პროფესორი.

3. ვიქტორ სტეფანეს-ძე **კოსენკო** — კონსერვატორიის პროთეზისორი-კომპოზიტორი.

4. დავით სოლომონის-ძე **რერტე** — კონსერვატორიის პროფესორი.

5. იაკობ სამუელის-ძე **მაგაზინერი** — კონსერვატორიის პროფესორი.

6. ლევ ნიკოლოზის-ძე **რევუცკი** — კონსერვატორიის პროფესორი-კომპოზიტორი.

საპატიო ნიშნის ორდენით

1. ბორის ნიკოლოზის-ძე **ლიატოშინსკი** — კონსერვატორიის პროფესორი-კომპოზიტორი.

2. ალექსანდრე ვასილის-ძე **ხიმიჩენკო** — კონსერვატორიის პროფესორი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით

1. აბრამ მიხეილის-ძე **ლუფერი** — ორდენოსანი პროფესორი, კონსერვატორიის დირექტორი.

2. იდა ანატოლის-ასული **მარგოლინა** — კონსერვატორიის დოცენტი.

3. ალექსანდრე გრიგოლის-ძე **რავინოვი** — კონსერვატორიის დოცენტი.

4. ვიქტორ ჰენრიხის-ძე **ცვანოვსკი** — კონსერვატორიის პროფესორი.

5. ნიკიტა ლეონტის-ძე **ჩესნოკოვი** — კონსერვატორიის პროფესორი.

6. დემენტი გურის-ძე **ევტუშენკო** — კონსერვატორიის დოცენტი.

7. მარკოზ მოსეს-ძე **გელიხი** — კონსერვატორიის დოცენტი.

8. მათე აკიმის-ძე **გოზენპუდი** — კონსერვატორიის პროფესორი.

9. იზრაილ ისაკის-ძე **კოზლოვი** — კონსერვატორიის პროფესორი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე —
მ. კალინინი.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი —
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წ. 17 აპრილი.

აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების განვითარებისათვის დამატებითი კაპიტალდაბანდების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აზერბ

პარტიული ცხოვრება

ხელმძღვანელის ანგარიში პარტიული ორგანიზაციის წინაშე—ეს არის ურთიერთსწავლება, ურთიერთგამდიდრება გამოცდილებით

განსახკომის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე

საქ. განათლების სახალხო კომისარიატის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო – საარჩევნო კრებამ გვიჩვენა, რომ ამ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს დაუწყვიათ „პრავდის“ მითითება: „ხელმძღვანელს მოეთხოვება, რათა მან პარტიულ მასას პატიოსნად და საქმიანად ჩააბაროს ანგარიში თავის მუშაობაზე, ნაკლოვანებებზე, შეცდომებზე და მოისმინოს მასების კრიტიკა“.

პარტკომის მდივნის ამხ. ვლ. კაკვაძის საანგარიშო მოხსენებაში არ იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამასთან მოხსენება მეტად ზოგადი იყო. კონკრეტული ფაქტებისა და ცოცხალი ადამიანების მუშაობის გადმოცემის მაგიერ მოხსენებელი ლაპარაკობდა მხოლოდ საერთო, ზოგადი ფრაზებით, როგორიცაა, მაგალითად:

„პარტიულმა კომიტეტმა შეამოწმა დავალებათა შესრულების ხარისხი და გამოირკვა, რომ დავალებებს ყველა ყარად ასრულებს“.

„პარტიული ორგანიზაციის კონკრეტული მითითებათა საფუძველზე პოლიტწრეების მუშაობა სეროზულად გაუმჯობესდა“ და ა. შ.

ასეთი მოხსენების შედეგად კამათიც უფერულად დაიწყო. მაგალითად, კამათში გამოსულმა ამხ. კორპუსოვმა თავისი სიტყვა პარტიული კომიტეტის მუშაობის შეკეთებით დაიწყო.

პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ზერელედ შედგენაში პარტკომის მდივნის გარდა პასუხისმგებელია პარტკომის თვითეული წევრი. როგორც სჩანს, ეს აქ ვერ გაიგეს და მოხსენების შედგენას უპასუხისმგებლოდ მოეპყრნენ. მაგალითად, მოხსენების წინასწარ განხილვას პარტკომის სხდომაზე არც კი დასწრებია პარტკომის წევრი ამხ. ყიფშიძე.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ჯაში, რომელმაც მკაცრად გააკრიტიკა მოხსენება და კრებას მისცა სწორი მიმართულება. ამის შემდეგ გამოსული მოკამათეები უფრო გაბედულად აკრიტიკებდნენ პარტიული კომიტეტის მუშაობის ნაკლოვანებებს.

რა გამოარკვია კამათმა?

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიაში მიღების შესახებ საქ. განათლების სახალხო კომისარიატის პარტიულ ორგანიზაციაში უგულებელყოფილია. პარტიის ისეთ უმნიშვნელოვანეს რუზერვს, როგორიცაა კომკავშირი და თანამგრძნობთა ჯგუფი, არავითარი ყურადღება არ ექცევა. 20 კომკავშირელიდან, რომელთაც შეტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, დღემდე მიღებულია მხოლოდ 3, მაშინ, როდესაც კომისარიატში 55 კომკავშირელი მუშაობს.

იქნებ უკეთესი მდგომარეობაა თანამგრძნობთა შორის მუშაობის მხრივ? განათლების სახალხო კომისარიატის აპარატში დაახლოებით 120 კაცი მუშაობს, თანამგრძნობთა ჯგუფში კი მხოლოდ 5 კაცია. ამათგან საანგარიშო პერიოდში პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულია მხოლოდ ერთი.

ამ ფაქტიდან ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მუშაობს განსახკომის პარტორგანიზაცია პარტიის რეზერვებთან.

კიდევ უფრო ცუდადაა დაყენებული კანდიდატთა შორის მუშაობა. პარტორგანიზაციაში ირიცხება 12 პარტწევრობის კანდიდატი, ამათგან უმრავლესობას 7-8 წლის საკანდიდატო სტაჟი აქვს, მაგრამ ძათზე პარტიულ კომიტეტს დღემდე არ უზრუნვია: კანდიდატთაგან არცერთი კაცი არ არის მიღებული პარტიის წევრად. იმ ამხანაგებს, რომლებსაც პარტიაში შესვლა სურთ, პარტიული კომიტეტი არ ეხმარება დოკუმენტების გაფორმების საქმეში და სხვ. ამის გამო საქართველოს უმაყოფილებას გამოსთქვამენ ამხანაგები: გვინჩიძე, ნ. ჯანგველაძე, გაბისონია და სხვ.

განათლების სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციასთან შექმნილია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მაღალი ტიპისა და ძირითადი ეტაპების შემსწავლელი 2 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 14 მსმენელი.

როგორ მუშაობენ ეს წრეები? როგორც სიტყვით გამოსულმა ამხ. ვ. კაპანაძემ აღნიშნა, პარტისტორიის წრეების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია: კომუნისტები ხშირად აცდენენ წრის მეცადინეობას, იყო პროპაგანდისტის მიზეზით მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევა და სხვ.

— პოლიტწრე ფორმალურად ორი არსებობს, მაგრამ ფაქტიურად ერთი მუშაობს,—სთქვა ამხ. ვ. გოცირიძემ, — რადგან ძალიან ხშირად ორივე წრის მეცადინეობა ერთად ტარდება. პარტპოლიტწრეებს არა აქვთ მიჩენილი სამეცადინო ოთახები, რის გამო წრის მსმენელებს ყოველ სამეცადინო დღეს უხდებათ ოთახის ძებნა, რაც უთუოდ აიდენს უარყოფით გავლენას წრის ჟღ ობის ხარისხზე.

ამხ. ა. გაბისონია ლაპარაკობს, რომ განსახკომის პარტიული ორგანიზაცია მიმავრებულია ორჯონიკიძის რაიონის მე-19 საარჩევნო უბანზე. უბანში მუშაობას უკვე ატარებს პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია, მაგრამ ეს მუშაობა გვიან გაიშალა და ზოგიერთ საარჩევნო უბანში ჯერ კიდევ არ მისულან აგიტატორები.

პარტიული ორგანიზაციის სიფხიზლის მეოხებით გამომჟღავნებულ იქნენ განსახკომის აპარატში მოკალათებული მავნებლები და ხალხის მტრები. მაგრამ ამავე დროს პარტიიდან კომუნისტების გარიცხვას დაშვებულ იქნა მრავალი შეცდომა: სრულიად უდანაშაულოდ, ცილისმწამებლური ბრალდებებით პარტიის რიგებიდან გარიცხეს და სამუშაოდან მოხსნეს პატიოსანი კომუნისტები: უჩანეიშვილი, გოცირიძე და რატიანი.

ეს შეცდომა გამოსწორებულ იქნა საქმეში რაიონული კომიტეტის ჩარევის შემდეგ, მაგრამ ადგილებზე ჯერ კიდევ არიან ამხანაგები, რომლებიც უდანაშაულოდ იყვნენ მოხსნილნი და დღემდე არ არიან აღდგენილნი თავიანთ თანამდებობებზე.

პარტიულმა ორგანიზაციამ სათანადოდ არ დასაჯა ცილისმწამებლები. მაგალითად, გასული წლის ნოემბერში პარტკომში შემოვიდა ცილისმწამებლური განცხადება კომუნისტ გაბისონიაზე. განცხადების ავტორი, ცილისმწამებელი ა. მშვენიერიძე სწერდა: „პარტიის წევრობის კანდიდატს გაბისონიას, რომელიც განათლების კომისარიატში მსახურობს, მართალია, მე პირადად არ ვიცნობ, მაგრამ არის სარწმუნო წყაროები, რომ გაბისონია ყოფაცხოვრებაში გახრწნილი პიროვნებაა, მას მტკიცე კავშირი ჰქონდა ხალხის მტერთან, აქვს გაფლანგვები და ა. შ.“

პარტიულმა კომიტეტმა გამოარკვია ეს საკითხი, მაგრამ აიფერი ამის მსგავსი არ დადასტურდა. ცილისმწამებელ ა. მშვენიერიძისათვის კი დღემდე პასუხი არ მოუთხოვნიათ.

სიტყვით გამოსულმა კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ განსახკომის აპარატი ჯერ კიდევ მოუქნელად მუშაობს. ამხ. პ. კობახიძემ განაცხადა, რომ სამმართველოები და განყოფილებები არ იცნობენ ერთმანეთის მუშაობას. პარტიული კომიტეტი, და მთლიანად პარტორგანიზაცია, არ ისმენდა ცალკე სამართველოების მოხსენებებს.

ახლად დაწინაურებულ მუშაკებს შორის მუშაობა ძლიერ სუსტია. პარტიული კომიტეტი და კომისარიატი არ აცნობენ მათ და არ ეხმარებიან მუშაობაში.

— ძლიერ მოუქნელია განსახკომის კანცელარიის მუშაობა,—ამბობს ამხ. ვ. იმედაშვილი,—სამმართველოების მიერ შედგენილი ინსტრუქციები და მიმართვები, რომელთა სასწრაფოდ გაგზავნაა საჭირო, ათეული დღეობით აწყვია კანცელარიაში, მიუხედავად იმისა, რომ იქ თანამშრომლები ბევრი არიან.

ამხ. რატიანი ეხება მასწავლებელთა ატესტაციის საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე არა ერთხელ მიუთითებდა რესპუბლიკური პრესა, ატესტაცია ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს (ქვემო და ზემო სვანეთი, ყაზბეგი და სხვ.). ზოგიერთ რაიონში არის განწყობილება გააგრძელონ ატესტაციის დამთავრების დაწესებული ვადები. ასეთ განწყობილებას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

საშუალო სკოლების სამმართველოში მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის დაგროვილი იყო 433 გაურჩეველი განცხადება. ეს ფაქტი მოწმობს, რომ კომისარიატის აპარატი ჯერ კიდევ ბიუროკრატულად მუშაობს, რადგან ხსენებული სამმართველოს მაგალითი გამონაკლისი როდია.

პარტიულ მუშაობაში ზემოთაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის კრებამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

ახალ პარტკომს დაევალა პარტიაში მისაღებად მოამზადოს საუკეთესო პარტწევრობის კანდიდატები, თანამგრძნობები და კომკავშირელები; გადასინჯოს პარტიული დავალებანი იმ ანგარიშით, რომ პარტიული დავალებების მიუცემელი არ დარჩეს არცერთი კომუნისტი. ღონისძიებებში აღნიშნულია, რომ პარტორგანიზაცია სათავეში უნდა ჩაუდგეს მასწავლებელთა ატესტაციის დროულად დამთავრებას, რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებას და სხვ.

კრებამ დაავალა პარტკომს შეამოწმოს პოლიტწრეების მუშაობა, მეცადინეობაზე კომუნისტების დასწრება და მიიღოს ზომები სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. გარდა ამისა, პარტკომს დაევალა გაშალოს აქტიური მუშაობა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების წარმატებით მოსამზადებლად.

ახალმა პარტიულმა კომიტეტმა სერიოზული დასკვნა უნდა გააკეთოს საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოსულ ამხანაგთა მითითებიდან.

ი. ქრუაშვილი

საანგარიშო-საარჩევნო პარჯიული კრება ბათუმის საორთქლმავლო დეპოში

გაბედული კრიტიკითა და თვითკრიტიკით ჩატარდა 13 აპრილს ოკინავზის ბათუმის კვანძის საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრება. კრებას დაესწრო პარტიის 26 წევრ-კანდიდატი. საპატიო მიზეზით არ დასწრებია 6 ამხანაგი.

კრებაზე მოსმენილ იქნა პარტკომის მდივნის ამხ. მ. მახარაძის საანგარიშო მოხსენება. საანგარიშო მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდა 7 ამხანაგი. მოკამათეები სამართლიანად აკრიტიკებდნენ პარტკომის მუშაობას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ პარტორგანიზაციაში გაერთიანებულ 32 წევრ-კანდიდატიდან მხოლოდ 20 კაცს აქვს მუდმივი პარტიული დავალება, რომ პარტკომი ნაკლებ ყურადღებას აქცევს შესრულების შემოწმებას.

საანგარიშო პერიოდში იშვიათად იწვევდა ღია პარტიული კრებები, პარტიის რიგებში ახლად მიღებულ ამხანაგებს პარტიული კომიტეტი სუსტად ხელმძღვანელობდა.

მოკამათეებმა ამხ. ბენ. ქუთათელაძემ, ვლ. ჩიტაიამ და ვ. ხუხუნაშვილმა ილაპარაკეს საგიტაციო-სატროპაგანდო მუშაობის ნაკლოვანებებზე, მათ აგრეთვე აღნიშნეს, რომ პარტიულ კრებებზე არ ხდებოდა პარტკომის სამუშაო გეგმის განხილვა.

საანგარიშო - საარჩევნო კრებამ პარტკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

ფარული კენჭისყრით კრებამ აირჩია პარტიული კომიტეტი 5 ამხანაგის შემადგენლობით. პარტკომის მდივნად არჩეულია ამხ. მ. მახარაძე.

ბათუმის საქალაქო პარტკონფერენციაზე გასაგზავნად პარტიულმა კრებამ აირჩია 3 დელეგატი.

კ. დოგოლაგინიძე

გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე

(„ზაგოტზერნოს“ ნავთლულის ბაზა)

თუმცა „ზაგოტზერნოს“ ნავთლულის ბაზის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებამ პარტკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, თუმცა „ზაგოტზერნოს“ ნავთლულის ბაზის მმართველმა ამხ. ქ. ხარაძემ თავის სიტყვაში აღნიშნა ბაზის სამეურნეო ხელმძღვანელებმა პარტორგანიზაციასთან ერთად მავნებლობის შედეგების აღმოფხვრის დარგში ბევრი რამ გააკეთესო, მაგრამ ფაქტები საფუძველს გვაძლევენ ვთქვათ, რომ ამ მხრივ გასაკეთებელი უფრო მეტია, ვიდრე გაკეთებული.

პარტკომის მდივნის ამხ. რ. მჟავანაძის საანგარიშო მოხსენების გარშემო გამოთქმულმა გაკვრთულმა კამათმა ნათელჰყო, რომ აქ ძალიან მოისუსტებს არა მარტო პარტიული მუშაობა — პარტიული ორგანიზაციის ზრდა, კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება, პოლიტიკური აგიტაცია და სხვ., არამედ პარტორგანიზაციის ბრძოლაც მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

კომუნისტები გაბედულად აკრიტიკებდნენ პარტკომის მუშაობას, ეხებოდნენ ისეთ საკითხებს, რომლებიც მათ ყველაზე უფრო მეტად აღელვებს და რომელთა მოგვარებაც მთელი პარტორგანიზაციის ძალღონესა და დარაზმულობას მოითხოვს.

— როგორ ხელმძღვანელობს ჩვენი პარტორგანიზაცია პოლიტიკურ აგიტაციას? — ამბობს ამხ. ვ. ანტონოვი,—ყველამ ვიცით, რომ სუსტად. აი, რამდენიმე ფაქტი; 2 თვის განმავლობაში № 10 საწყობში არცერთი პოლიტსაუბარი არ გაუმართავთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთხელ გაზეთის ხმამაღლა წაკითხვას. ამ მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა საერთო საცხოვრებლებში; თავისუფალ დროს მტვირთავი მუშები ბანქოს თამაშით ირთობენ თავს. „მაშ რა ვკეთოთო? წიგნები ჩვენ არა გვაქვს და გაზეთებიო“ — ასე იძართლებენ ისინი თავს.

პარტიული წრეების ცუდ მუშაობაზე ილაპარაკა ამხ. მ. ტეპლიცკიმ. მან აღნიშნა, გარდა იმისა, რომ წრეების მეცადინეობა ზოგჯერ უმიზეზოდ სცდება და ზოგი კომუნისტი დაგვიანებით ცხადდება სამეცადინოდ, ამავე დროს პარტიული წრეები სწორად არ არის დაკომპლექტებულიო.

ამხ. მ. ტეპლიცკიმ გააკრიტიკა პარტკომის მდივნის ამხ. რ. მჟავანაძის მუშაობა იმიტომაც, რომ მან კომუნისტებს შორის სწორად ვერ გაანაწილა პარტიული დავალებანი. არიან კომუნისტები, რომელთაც ოთხი-ხუთი პარტდავალება აქვთ, ხოლო ზოგს კი სრულიად არაფერი აქვს დავალებული. მაგალითად, კომურისტებს ამხ. ნ. გიორგობიანს, ა. ღარიბოვს არცერთი პარტიული დავალება არა აქვთ. არ არის სწორი,—აძბობს ამხ. ტეპლიცკი,— პარტკომის წევრების ის მოსაზრება, თითქოს ზოგ კომუნისტს პარტიული დავალების შესრულება არ შეუძლიან.

კომუნისტებმა ამხ. ჟ. სომხიევმა, ტ. ოჭანეზოვმა და ა. ნაბიანცმა მკაცრად გააკრიტიკეს პარტკომის მუშაობა და აღნიშნეს, რომ პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ იბრძვის მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მაგალითად, როგორც ამხ. ოჭანეზოვმა აღნიშნა, იმის გამო, რომ თივის საწყობში წვიმა ჩამოდის, თივის თითქმის 50 პროცენტი მდარე ხარისხისაა, რის გამო საკვებად ძაარ გამოდგება.

— ჩვენს ორგანიზაციას ახლა ყველაზე მეტად სჭირდება ნამდვილი ბოლშევიკური სიფხიზლე,—ამბობს ამხ. ჟ. სომხიევი—რადგან ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ არა მარტო მავნებლობის შედეგების აღმოსაფხვრელად, არამედ იმ ფაქტორების წინააღმდეგაც, რომლებიც ჯერ კიდევ მოქმედებენ ჩვენს საწყობებში.

როგორც ამხ. სომხიევმა აღნიშნა, პარტორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ გამოიჩინა იმდენი სიფხიზლე, რომ მტერს დანაშაულზე წაასწროს და გამოაჯაროს, თუ ვინ გასტეხა მანქანა, ვინ გადასჭრა მანქანის ღვედი, ვერ გაჰყარკვია სხვა ასეთი ფაქტები, რომლებიც იმას ადასტურებენ, რომ მტრები კიდევ არსებობენ და მავნებლობა ვრძელდება.

„ზაგოტზერნოს“ ნავთლულის ბაზის პარტიულ ორგანიზაციას და სამეურნეო ხელმძღვანელობას სახელმწიფომ მილიონობით ქონება ანდო. ამ უდიდესი ნდობის გამართლება, სახელმწიფო ქონების დაცვა და მისდამი უდიდესი სიფრთხილით მოპყრობა—აი რაზე ილაპარაკა კამათში გამოსულმა ყველა კომუნისტმა, აი რა ჩასწერა პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისა და გაშინაარსიანების სხვა ღონისძიებებთან ერთად, თავის რეზოლუციაში „ზაგოტზერნოს“ ნავთლულის ბაზის პარტკომმა კრებამ.

კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა 5 კაცის რაოდენობით.

პარტიული კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ პარტკომის მდივნად აირჩია ამხ. მ. მიკირტიჩიანი, მოადგილეებად ამხ. რ. მჟავანაძე და მ. ტეპლიცკი.

კრებამ 26 კომ. რაიონულ პარტკონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად დელეგატად აირჩია ამხ. მ. მიკირტიჩიანი.

კ. მავზარაშვილი

მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ფაბრიკის (თბილისი, ორჯონიკიძის სახელობის რაიონი) ახლად არჩეული პარტიული კომიტეტი.

სურათზე (მარჯვნიდან მარცხნივ): ნ. ძურძუკი (პარტკომის მდივანი), პარტკომის წევრები: ი. ბუჯიაშვილი, ა. მურადოვი, გ. ცხომელიძე და გ. ბარსეგოვი.

ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

კრიტიკა ნახევარი ხმით

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის აბანოების ტრესტის (ციროვის რაიონი) პარტორგანიზაციის ყველა წევრი დანიშნულ დროზე გამოცხადდა, საანგარიშო - საარჩევნო კრება მაინც 40 წუთის დაგვიანებით დაიწყო პარტკომის მდივნის ამხ. სტ. ხაჩატუროვის მიზეზით.

ამხ. ხაჩატუროვის საანგარიშო მოხსენებას პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობის შესახებ დამსწრენი გულმოდგინედ ისმენდნენ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გააუმჯობესა და გააღრმავა თავისი მუშაობა. კარგად არის დაყენებული პარტიული პროპაგანდა და პოლიტიკური აგიტაცია. სისტემატურად ტარდებოდა აგიტატორთა თათბირები.

აქაური კომუნისტები ფხიზლად მუშაობენ, პარტორგანიზაციამ დროულად აუღო ალღო აბანოების ტრესტის სისტემაში შეპარულ მტრებს და ამხილა ისინი.

აბანოების პარტორგანიზაცია ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა თანამგრძნობთა შორის. თანამგრძნობთა ჯგუფში მიღებულია 12 კაცი. ამათგან პარტიის რიგებში უკვე მიიღეს 7.

მომხსენებელმა დამსწრეთ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის წესით მოუთხრო პარტორგანიზაციის მიღწევებზე და ყველა არსებულ დეფექტზე. მან მოურიდებლად გააკრიტიკა ცალკეული ამხანაგების სუსტი მუშაობა.

— ამხ. დ. მღვდელაძე,—აღნიშნა მომხსენებელმა, — პარტორგანიზაციის დავალებებს დროზე არ ასრულებს, პარტორგანიზატორებს დაევალათ ფართოდ გაშალონ არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა.

17 აპრილს პირველადს პარტორგანიზაციებში დაიწყო ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნების ჩატარების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებისა და ინსტრუქციის ფართოდ შესწავლა. პარტიული კომიტეტების მდივნები და პარტორგანიზატორები უკვე შეუდგნენ საანგარიშო მოხსენებების მომზადებას.

ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნები ზემო-სვანეთის რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში 20 აპრილს დაიწყო.

ბ. ჟოგალია

პარჯიულ-პოლიჯიკური მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები უდიდესი პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში. ქვეყნის, რომლის მშრომელნი ლენინ-სტალინის პარტიაში ხედავენ სოციალისტურ გამარჯვებათა ბელადსა და ორგანიზატორს, ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს მთელი დიდი საბჭოთა ხალხისას. საანგარიშო-საარჩევნო კრებებისადმი უდიდეს ინტერესს იჩენენ უპარტიო მუშები და გლეხები, მილიონობით არაპარტიული ბოლშევიკები, რომლებიც მტკიცედ არიან დაკავშირებულნი პარტიასთან ერთიან ბრძოლაში კომუნიზმისათვის.

პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რათა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები ჩატარდეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შედეგობრივი ანალიზის საფუძველზე. ეს ანალიზი ნიშნავს, რომ ყოველმხრივ უნდა გაანალიზდეს პარტორგანიზაციის მუშაობის ხასიათი, მისი ნაკლოვანებანი და ღირსებანი, ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, ორგანიზაციული მუშაობა, პარტიის ლენინური ხაზის განხორციელება, პარტიის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა.

ესპანეთის მთავრობის ნოტა ერთა ლიგის საბჭოსადმი

ჟენევა, 19 აპრილი (საკდესი). დღეს ესპანეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალვარეს დელ ვაიომ ერთა ლიგის გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნა შემდეგი ნოტა:

„1937 წლის 29 მაისს ერთა ლიგის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნა ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის მოქმედება, მიმართული იქითკენ, რომ ესპანეთიდან გაეწვიათ იქ წარმოებული ბრძოლის ყველა არაესპანელი მონაწილე, და გამოსთქვა მტკიცე იმედი, რომ, კომიტეტის ამ ინიციატივის შედეგად, მიღებული იქნებოდა ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ ესპანეთში წარმოებული ბრძოლის ყველა არაესპანელი მონაწილის გაწვევას. ამ რეზოლუციის თანახმად, აღნიშნული ღონისძიება მიჩნეული იყო ყველაზე ეფექტურ გამოსავლად ესპანეთში შექმნილი მდგომარეობიდან. საბჭომ საჭიროდ დაინახა აღენიშნა ამ მდგომარეობის მთელი სერიოზულობა საყოველთაო მშვიდობიანობის თვალსაზრისით. რეზოლუციის პროექტში, რომელიც ერთა ლიგის პლენუმს 1937 წლის 2 ოქტომბერს წარუდგინა მისმა მეექვსე კომიტეტმა, გამოთქმული იყო მწუხარება იმის გამო, რომ ჩაურევლობის კომიტეტმა ვერ შესძლო მიეღწია ომის არაესპანელ მონაწილეთა უკანგაწვევისათვის, და აღიარებული იყო, რომ ესპანეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან ნამდვილად უცხოელთა საარმიო კორპუსები. პროექტში გამოთქმული იყო იმედი, რომ ცოტა ხნით ადრე ზოგიერთი სახელმწიფოს მიერ გადაგზავნულ დიპლომატიურ ნაბიჯებს წარმატება ექნებოდა და რომ ეს ნაბიჯები ომის არაესპანელ მონაწილეთა უკანგაწვევით დამთავრდებოდა. პროექტი ავრეთვე ითვალისწინებდა, რომ, თუ უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდებოდა ასეთი შედეგის მიღწევა, ერთა ლიგის წევრები, რომლებიც მონაწილეობენ ჩაურევლობის შესახებ შეთანხმებაში, განიხილავდნენ ჩაურევლობის პოლიტიკის შეწყვეტის საკითხს. რეზოლუციის ამ პროექტს პლენუმმა ერთხმად არ დაუჭირა მხარი და ამიტომ მას იურიდიული ძალა არა აქვს. მაგრამ პროექტს კვლავ აქვს მორალური ძალა, რომელიც იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ მას ხმა მისცა ერთა ლიგის წევრმა 38 სახელმწიფომ, მათ შორის საბჭოს 12 წევრმა 14-დან. 1937 წლის მაისიდან იტალიისა და გერმანიის ინტერვენცია ესპანელ მეამბოხეთა სარგებლად მნიშვნელოვნად ფართოვდებოდა როგორც რაოდენობრივად, ისე ხარისხობრივად. ამ ინტერვენციის უდავო დამამტკიცებელი საბუთები ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის. იტალია-გერმანიის ინტერვენციის ფაქტებმა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის აღშფოთება გამოიწვია. გარდა ამისა, ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობას კონკრეტული ინფორმაცია მოეპოვება იტალია-გერმანიის ინტერვენციის გაძლიერების შესახებ, და მას განზრახვა აქვს წარუდგინოს ეს ინფორმაცია საბჭოს განსახილველად. ლიგის პლენუმის დროიდან მნიშვნელოვნად გაძლიერდა საფრთხე საყოველთაო მშვიდობიანობისათვის. ლიგის საბჭომ, როგორც ცნობილია ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ დაიხახა საჭიროდ ხაზგასმით აღენიშნა ეს საფრთხე, რომელსაც ჰქმნის უცხოელთა მზარდი ინტერვენცია ესპანეთში. ზემოაღნიშნულ მოსაზრებებით და იმავე მიზეზებით, რომელთა გამო ესპანეთის მთავრობამ გასული წლის მაისსა და სექტემბერში სთხოვა საბჭოსა და პლენუმს განეხილათ ესპანეთში უცხოელთა ინტერვენციით შექმნილი მდგომარეობა, მე დღეს პატივი მაქვს გთხოვოთ ესპანეთის მთავრობის სახელით, რათა ესპანეთში უცხოელთა ინტერვენციის საკითხი კვლავ შეიტანოთ საბჭოს იმ მორიგი სესიის დღის წესრიგში, რომელიც 9 მაისს იხსნება ჟენევაში.

ხულიო ალვარეს დელ ვაიო — საგარეო საქმეთა მინისტრი".

გენერალ მიახას განცხადება

პარიზი, 19 აპრილი (საკდესი). გენერალმა მიახამ ესპანის საგენტოს მადრიდელ კორესპონდენტს განუცხადა:

„ახლანდელ გარემოებებს ოდნავადაც არ შეუცვლიათ აბსოლუტურად ნორმალური პირობები და წესრიგი რესპუბლიკური ესპანეთის მთელს ზონაში. პირველი მომენტიდანვე მიღებულ იქნა კონკრეტული ზომები, რათა ხელი შეგვეშალა მოწინააღმდეგის წინწაწევისათვის. რესპუბლიკელთა ძალები, რომლებიც ცენტრალური და სამხრეთი ფრონტების ყველა სექტორში მოქმედებენ, განსაკუთრებული ენტუზიაზმით არიან გამსჭვალულნი. გარწმუნებთ, რომ რესპუბლიკა გადაულახავ ბარიერს აღმართავს ინტერვენტთა არმიების წინაშე. სარდლობის სიმტკიცე და ყველას რკინისებური დისციპლინა—ასეთია ის ძალები, რომელთა საშუალებითაც რესპუბლიკელთა არმია მიაღწევს გამარჯვებას. ჩვენ მოგვეპოვება უმთავრესი, რაც კი აუცილებელია იმ ხალხის გამარჯვებისათვის, რომელიც ჩვენი სამხედრო მრეწველობის დახმარებით ასრულებს თავის მოვალეობას და კიდევაც გაიმარჯვებს".

დელ ვაიოს განცხადება

გარსელონა, 19 აპრილი (საკდესი). როგორც ჰავასის საგენტო იუწყება, რესპუბლიკური ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დელ ვაიომ პრესაში ყურადღება მიაქცია იმას, რომ „წერილებში, რომლებითაც შეთანხმების დადებასთან დაკავშირებით ერთმანეთს მიმართეს ინგლისის ელჩმა პერტმა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიანომ, ნათლად არ არის ნათქვამი, თუ როდის გაიწვევენ უკან იტალიის ჯარებს, რომლებიც ესპანეთში მოქმედებენ,—ომის დამთავრებამდე თუ ომის დამთავრების შემდეგ. ეს,—ამბობს დელ ვაიო,—ნიშნავს ჩაურევლობის პრინციპზე სრულ უარისთქმას მეამბოხეთა სასარგებლოდ. მე ვერა ვხედავ, როგორ შეიძლება ამ განცხადების შემდეგ გამართლებულ იქნას „ჩაურევლობა", რომელიც მიმართულია მხოლოდდამხოლოდ ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ".

დასასრულ, დელ ვაიომ განაცხადა: „პერტსა და ჩიანოს შორის წერილების გაცვლას ლოგიკურად არ შეიძლება ჰქონდეს სხვა აზრი, თუ არ სრული უარისთქმა „ჩაურევლობაზე". „ჩაურევლობის" პოლიტიკის განგრძობა ახლა შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ იმას, რომ გადაჭრით სურთ დაიხრჩონ ხალხი, რომელიც იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობიანობისათვის და ევროპის თავისუფლებისა და დემოკრატიის მომავლისათვის. მაგრამ ესპანელი ხალხი არ მოკვდება. იგი განაგრძობს თავის ბრძოლას, რათა გაიმარჯვოს".

კავკაზონიის სოციალისტური პარტიის აღმასკომის მიმართვა

ბარსელონა, 19 აპრილი (საკდესი). კატალონიის გაერთიანებული სოციალისტური პარტიის აღმასკომმა გამოუშვა მიმართვა, რომელშიც ის აღნიშნავს, რომ „მიუხედავად ტერიტორიის დაკარგვისა, სახალხო არმია ძლეული არ არის. მისი სული მტკიცეა, მისი შეიარაღება დღითი-დღე მატულობს და შეტევის შესაძლებლობანი იზრდება". „ხალხი,—ნათქვამია მიმართვაში,—განუყოფელია არმიისაგან, და ესპანეთის რესპუბლიკას ვერ დამარცხებენ. სახალხო არმიას ამჟამად ასეული ათასობით ახალი მეომრები ემატებიან. სადღეისო ლოზუნგია წინააღმდეგობის გაწევა. ეს წინააღმდეგობა უნდა გამოიხატოს იმით, რომ გავაორკეცოთ სახალხო არმიის რიგები, გავაძლიეროთ მრეწველობის მუშაობა და მოვსპოთ ზურგში ფაშისტები და მოღალატეები. წინააღმდეგობის გაწევა უწინარეს ყოვლისა მიღწეულ იქნება ერთიანობით. კატალონია რესპუბლიკასთან ახლა უფრო დაკავშირებულად გრძნობს თავს, ვიდრე ოდესმე. კატალონია აცხადებს: „ისინი ვერ მოვლენ!"

რესპუბლიკელებმა ყველედ წამოიყვანეს 39 გერმანელი და იტალიელი მფრინავი

გარსელონა, 19 აპრილი (საკდესი). ჰავასის საგენტოს ცნობით, აღმოსავლეთის ფრონტზე უკანასკნელად გამართული საჰაერო ბრძოლების დროს რესპუბლიკელებმა ხელთ იგდეს ფაშისტთა 39 მფრინავი. ისინი თითქმის ყველა გერმანელები და იტალიელები აღმოჩნდნენ.

ომის საწინააღმდეგო სულისკვეთება იაპონიის არმიაში

ხანკოუ, 19 აპრილი (საკდესი). ჰონკონგიდან მიღებული ცნობით, აპრილის დამდეგს 18 იაპონელი ჯარისკაცი მცველთა თანხლებით ჩამოიყვანეს ძინანის რაიონის ფრონტიდან (შანდუნის პროვინცია). მათ ჰბრალდებათ სამხედრო სამსახურის შესრულებაზე უარისთქმა. სარდლობის განკარგულებით ჯარისკაცები ცოცხლად დამარხეს. იაპონელთა ჟანდარმერია და პოლიცია ძინანში დაიჭერს რამდენიმე იაპონელ ჯარისკაცს, რომლებიც ფრონტიდან გაიქცნენ. დამახასიათებელია, რომ ომის საწინააღმდეგო სულისკვეთებით შეპყრობილია იაპონელთა ჯარის ბევრი ნაწილი სხვადასხვა ფრონტზე.

ჯარების კონცენტრაცია იჯოუს რაიონში

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის ჯარები ღრმად შეიჭრნენ იმ ფრონტის ხაზში, რომელიც იაპონელებს შანდუნის პროვინციაში უკავიათ. თავიდან აცილებულია იაპონელთა ჯარების ჩრდილოეთი და სამხრეთი კოლონების შეერთების ცდა. იჯოუს რაიონში სწარმოებს ორივე მხარის ძალების კონცენტრაცია. აქ დაახლოებით 250 ათასი ჩინელი ჯარისკაცია, იაპონელები კი—დაახლოებით 100 ათასი.

კანტონის ბომბარდირება

ლონდონი, 19 აპრილი (საკდესი). „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" იუწყება, რომ 17 აპრილს კანტონზე იაპონელების თავდასხმის დროს მოკლულ იქნა 250 კაცი და დაიჭრა 300.

იაპონელები ჰქმნიან ცრუპარტიზანულ რაზმებს

კანტონი, 17 აპრილი (საკდესი). იაპონელთა სარდლობა შეშფოთებულია პარტიზანული მოძრაობის აქტივიზაციით შანხაის ფრონტზე და აპირებს დაიწყოს პარტიზანების წინააღმდეგ დიდი დამსჯელი მოქმედება. 5 აპრილს შანხაიდან ხანჯოუს გაიგზავნა 150 ქიმიური ყუმბარა და 20 თვითმფრინავი.

შანხაის ფრონტზე იაპონელებმა ფართოდ გაშალეს პროვოკაციული საქმიანობა იმ მიზნით, რომ დასცენ ჩინელი პარტიზანების ავტორიტეტი მოსახლეობის თვალში. იაპონიის აგენტები ლტოლვილ ჩინელთა განაკებში აგროვებენ ხალხს ცრუპარტიზანული რაზმების შესადგენად, რომლებმაც უნდა იმუშაონ იაპონიის სარდლობის დავალებით.

ტუნჯოუს და ჟუგაოს რაიონებში (100 და 140 კილომეტრის მანძილზე შანხაის ჩრდილო-დასავლეთით) იაპონელების მიერ შედგენილ ცრუპარტიზანულ რაზმებს, აქვთ მე-8 არმიის სარდლის ჯუ-დეს ხელმოწერილი ყალბი მოწმობები ეს რაზმები იაპონელების მითითებით ძარცვავენ ჩინელ მოსახლეობას.

იაპონელი ჯარისკაცები მასობრივად უარს ამბობენ ჩინეთს გამგზავრებაზე

ხანკოუ, 18 აპრილი (საკდესი). აქ მიღებულია ცნობები, რომ მარტის დაბლევს ოსაკას გარნიზონში იაპონელთა ჯარისკაცებმა მასობრივად უარი განაცხადეს ჩრდილოეთ ჩინეთს გამგზავრებაზე.

პირველი ბრძოლა



პარადი საბჭოთა სახალხო დაცვის XX წლისთავთან დაკავშირებით ა.-კ. ფედერაციის მოედანზე 18 აპრილს

ფოტო რ. აკოფოვისა.

სახალხო დაცვის 20 წლისთავის ზეიმი თბილისში

იშვიათი პარადი, იშვიათი სანახაობა

იშვიათი პარადის, იშვიათი სანახაობის მოწმენი გახდნენ თბილისის მშრომელები 18 აპრილს—საბჭოთა სახალხო დაცვის სახელოვანი არსებობის 20 წლისთავის დღეს.

დილის 11 საათისათვის ა.-კ. ფედერაციის სახელობის მოედანზე გრიალით შემოჭრნენ სახალხო დაცვის რაზმების დიდი, წითელი ავტომობილები. მოედნის ორ მხარეს კოლონებად ჩამწკრივდნენ სახალხო ავტომობილები, ხოლო მოედნის დანარჩენი ნაწილი დაიკავეს საუწყებო სახალხო რაზმების, მოხალისე-მეხალხეთა ჯგუფებისა და ნორჩ პიონერ-მეხალხეთა გუნდების მებრძოლებმა.

დაიწყო პარადი, რომელსაც სარდლობდა თბილისის სახალხო დაცვის უფროსი ამხ. ა. ბერიძე. პარადი მიიღო და მეხალხეებს მიესალმა საქ. შინსახკომის სახალხო დაცვის განყოფილების უფროსი, სახელმწიფო უშიშროების კაპიტანი ამხ. ა.კ. იაკობიძე. პარადის მიღების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობათა აღმსრულებელმა ამხ. მ. გვიშიანმა. მან მიულოცა მეხალხეებს სახელოვანი იუბილე და აღნიშნა მათ წინაშე დასახული ამოცანათა მნიშვნელობა.—საბჭოთა კავშირში ხანძრის გაჩენის შემთხვევები,—სთქვა ამხ. გვიშიანმა, — მაქსიმალურად უნდა შემცირდეს. ასეთია ლოზუნგი, რომელიც მოგვცა პარტიამ და ხელისუფლებამ. ამ ლოზუნგის შესრულებისათვის დაუღალავი ბრძოლა,—აი ამოცანა, რომელიც დასახულია საბჭოთა სახალხო დაცვის თვითეული მუშაკის წინაშე.

ამხ. მ. გვიშიანის შემდეგ მიკროფონთან მივიდა საქ. შინსახკომის სახანძრო დაცვის უფროსი ამხ. ა. იაკობიძე.—სახელოვანმა საბჭოთა დაზვერვამ,—სთქვა ორატორმა, — გაანადგურა და გააცამტვერა ხალხის მტრები ტროცკისტ-ბუხარინელი ქვეწარმავლები, ფაშიზმის აგენტები, დივერსანტები და ჯაშუშები. მაგრამ განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს მომავალში, რომ არ შემოგვეპაროს არცერთი ჯაშუში და დივერსანტი, რომლებიც პირველი ხელსაყრელი შემთხვევითვე ისარგებლებენ, რათა ხანძარი გაუჩინონ და დაგვიღუპონ სახალხო დოვლათი. ამიტომ საბრძოლო-პოლიტიკური მომზადების გაუმჯობესებასთან ერთად საბჭოთა მეხანძრეებმა უნდა გამოიჩინონ შინსახკომელთათვის დამახასიათებელი სიფხიზლე და პოლიტიკური ძოწადება. ამისკენ მოუწოდებენ ჩვენს მეხანძრეებს დიადი კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება.

შემდეგ გამოვიდა თბილისის სახანძრო დაცვის უფროსი ამხ. ა. ბერიძე, რომელმაც წაიკითხა მეხანძრეთა პატაკი თბილისის მშრომელებისადმი.

დამთავრდა პარადი და მიტინგი, დაიწყო მეხანძრეთა ტაქტიკური ვარჯიში.

მოედანზე გამოცვივდნენ მეხანძრეები გრძელი ჯოხებით ხელში და მწკრივად დადგნენ. გაისმა განკარგულება და ეს ჯოხები, თითქოს ჯადოქრულიაო, კიბეებად გადაიქცნენ. თვალისდახამხამებაზე შეხანძრეები მიესივნენ თბილისის საბჭოს შენობას და ამ კონსტრუქციული კიბეების საშუალებით რამდენიმე წამში ავიდნენ ზემო სართულებზე.

შემდეგ გამოიყენეს ავტომატური ტუმბოები და წყლის შხეფთა კომპოზიციური წყობით მოედნის ზემოთ, მილებიდან ჰაერში ასროლილი წყლის ნაკადით გამოისახა რომაული ციფრი „XX"—ემბლემა საბჭოთა სახანძრო დაცვის 20 წლისთავის იუბილესი.

...მოედანზე ცეცხლის ალი ავარდა. იწვოდა ბენზინნარევი ნავთით სავსე ლითონის აუზი. კვამლი შავ ნისლად ჩამოწვა, ცეცხლის წითელი ენები აპობდნენ ჰვარტლიან ბურუსს.

მოცვივდნენ მეხანძრეები აპარატებით ხელში, გაშალეს, მოაწყეს ეს აპარატები და შეუტიეს ცეცხლს. სწრაფად ჩაქრეს ცეცხლი, გაჰფანტეს კვამლი. რა აპარატები იყო, ასე სწრაფად რომ მოუღეს ბოლო აგიზგიზებულ ხანძარს? ამ აპარატებს ქაფსადენი და ცეცხლსაქრობი გენერატორები ჰქვიან.

მეხანძრეებმა ამ დღეს თბილისის მშრომელების წინაშე მოახდინეს საჰაერო-ქიმიური თავდასხმისას გაჩენილ ხანძართან ბრძოლის მეთოდების დემონსტრაცია.

დასასრულ ნაჩვენები იყო ნორჩ-მეხანძრეთა რაზმის მუშაობა. პატარა „სახლს", რომელიც შუა მოედანზე აღმართეს, გადაასხეს ნავთი და წაუკიდეს ცეცხლი. ნორჩ მეხანძრეთა რაზმმა წინასწარ დანიშნულ დროში მოახდინა ამ ხანძრის ლიკვიდაცია.

სახანძრო დაცვის რაზმების მუშაობის დემონსტრაცია ნაშუადღევის 2 საათამდე გაგრძელდა. იშვიათი სანახაობით კმაყოფილი მშრომელები დაიშალნენ.

საქ. სახანძრო დაცვის წარჩინებული მუშაკები, დაჯილდოებულნი საბჭოთა სახანძრო დაცვის 20 წლისთავთან დაკავშირებით (მარცხნიდან მარჯვნივ): ვ. ბარამიძე, ა. ნავრუზაშვილი, ს. ავაქიანი, დ. კაზარკინი და რიგითი მებანძრე თ. სალანოვი.

ფოტო რ. აკოფოვისა.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

21 აპრილს

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: საარჩევნო სისტემა სსრ კავშირში და კაპიტალისტურ ქვეყნებში. კონსულტანტები: ქართულ ენაზე—ამხ. რამიშვილი, რუსულზე — ამხ. გიორგაძე. დაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები და კომკავშირის ამოცანები, რუსულ ენაზე; კონსულტანტი—ამხ. ბალდასაროვი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ჯ. ფ. რეკვავას (ფოთი), გერასიძე ლუკასიძე კოლუაშვილს (ფოთი), ანტონ მიხეილის-ძე უჩანეიშვილს (ჭუთაისი), კალისტრატე გულას-ძე მიმინოშვილს (ფოთი), ისიდორე ათანასეს-ძე ზვერევს (ფოთი), ვარლამ მიხეილის-ძე ჭარქაძეს, პეტრე ბესარიონის-ძე გოგიაშვილს, ილია გიორგის-ძე ინასარიძეს და შალვა მინას-ძე ბირკაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ვიქტოროვთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 11).

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. მოსე ისაკის-ძე ალიბანოვს, ბაგრატ ალექსანდრეს-ძე ბიჭიკიანს, სარქის ოგანეზოვის-ძე მაზმიაშვილს, ვასილ მიხეილის-ძე ნადარიშვილს, ა. გ. ალმანოვს და ა. გ. ბარსეგოვას სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. აგასაროვთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ნიკოლოზ ივანეს-ძე ცეცხლაშვილს, თადეოზ შავინის-ძე ნალბადიანს და გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ახობაძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. დოლიძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8, ოთახი № 20).

საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ამხ. ბერამ ბეგლარის-ძე სიმონიანს, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე გოგიშვილს, გიორგი გერასიმეს-ძე სალუქვაძეს და გრიგოლ იოსების-ძე გურგენიძეს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ პარტკოლეგიაში ამხ. ბლიაძესთან (ძერჟინსკის ქ. № 8).

21 აპრილს, ხალამს 7 საათზე, ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში ქალაქის კომკავშირული აქტივისათვის შესდგება ამხ. სახაროვის მოხსენება ქართულ ენაზე. თემა: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები და ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

21/IV	წარმოდგენა 152 სელელი
22/IV	წარმოდგენა 153 არსენა
23/IV	წარმოდგენა 154 ნაპერწკლიდან

სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის პროსპ., 135	აბალი ხმოვანი ფილმი „სრულიად საქართველოს ოლიმპიადა" ხალხური ცეკვა და სიმღერა ავტ. რეჟ.—ა. დანელიანი სეანსების დასაწყ. 6-30, 8, 9-30, 11
რ. ლუქსემბ. სახ. ჯორჯიაშვილის, 8	
26 კომ. სახ. შაუმიანის მოედანი.	
არსენა კომშუნალური ქ., № 9	
დამკვრელი პლეხანოვის პროსპ., 125	დადგ. უკანასკნ. დღეები ხმოვანი ფილმი საუნჯეთა კუნძული სეანსის დასაწყ. 6-30
კომკავშირელი პლეხ. პროსპ. 91	1. ხმოვ. დოკუმ. ფილმი: სასამართლოს განაჩენი—ხალხის განაჩენი 2. საზღვარი დაკეტილია
სპარტაკი რუსთაველის პროსპ., 23	ხმოვანი ფილმი პატიმარნი დასაწყ. 6-30
ახალი ამბები პლეხანოვის პროსპ., 125	ხმოვანი დოკუმენტ. ფილმი სასამართლოს განაჩენი—ხალხის განაჩენი

სახცირკი. ტელ. 3-11-44
სახცირკო წარმოდგენა
მრავალფეროვანი პროგრამით და ფრანგ. პროფეს.
ჭიდაობის მაჭიჭები
ჭიდაობაში ძონა იილეობას იღებს საქართ. სსრ ჩემპიონი შალვა ჩიხლაძე
ჭიდაობა 4 წყვილი
1-ლი—შ. ჩიხლაძე—ფ. კოჭევნიკა
მე-2—მ. ბოროვი—ნ. ჭიურინი
მე-3—მ. ბელოვი—ა. ალეშინი
მე-4—ი. მასლიევი—ა. ჭიჭოვი
დასაწყ. წარმოდგენისა 8 ს. 30 წ.
ჭიდაობისა – 10 ს. 30 წ.
სალარო 12-დან 2 ს-მდე და 5 საათიდან.

ხელისმოწერთა საყურადღებოდ
გამოვიდა და დაეგზავნა ხალისმომწერლებს
უურნალი
პიონერი, № 3.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

21/IV წარმ. № 154	შერი
22/IV წარმ. № 155	ფიგაროს ქორწინება

თბილისის ზ. ჰ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

21/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 170 ერდრ. ბილ. სერია № 2 აბესალომ და ეთერი
22/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 171 ერთდრ. ბილ. სერია № 3 პიკის ქალი
23/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 172 სევილიელი დალაქი

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

ა. დ. ქლენჯი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭ-აღწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8 17278

წყალკანალგრესჭი
კიროვის ქუჩა, № 16
აუწყებს
ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ წყალკანალტრესტის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.
სესხის მჭონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.
სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მჭონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. № 1547

სამკერვალო ფაბრიკა № 2
მიასნიკოვის ბეჭა № 58
აუწყებს
ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ ფაბრიკის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.
სესხის მჭონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.
სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მჭონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1 ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. № 1557

ამხ. ქამოს სახელ. მანქანათმშენებელი ქარხანა
ბებელის მოედ. № 3.
აუწყებს
ყველას, ვინც წინათ მუშაობდა და რაიმე მიზეზის გამო არ მიუღია მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციები, რომ აუცილებელია გამოცხადდნენ ქარხნის ბუხჰალტერიაში და მიიღონ ცნობა რაიონულ შემნახველ სალაროში № 3528 წარსადგენად და ობლიგაციების მისაღებად.
სესხის მჭონენი, რომელთაც ობლიგაციები ხელზე არა აქვთ, მოგებათა ტირაჟებში არ მონაწილეობენ.
სახელმწიფო სესხების ობლიგაციების მჭონენი, რომელნიც არ მიიღებენ ობლიგაციებს 1938 წლის 1-ლ ივნისამდე, ჰკარგავენ მეორე ხუთწლედის სესხის (მეოთხე წლის გამოშვება) ობლიგაციების მიღების უფლებას 1938 წლის 1 ივნისს და სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის ობლიგაციების მიღების უფლებას 1939 წლის 1 ივნისს. № 1554

ს. ს. რ. კ. ვაჭროგის სახალხო კომისარიატი
თბილკავშირუნივერმაღი
გაზაფხულ-ზაფხულის გაზრისათვის
შვილებს ყოველგვარი საჭონლის ფართო ასორტიმენტს. ქალის კაბები, ბამბის ხალათები, უკრაინკები, სატინის ხალათები, ქალის, მამაკაცისა და ბავშვის საცვლები, ყოველგვარი ჭსოვილები—საზაფხულო კაბებისათვის: ვოლტა, მარკიზეტი, ვუალი, საცვლებისა, აბრეშუმისა და კრეპისა ნატურალური აბრეშუმისაგან, ნახევრადაბრეშუმისა ერთფერი და მოლოფანისა.
მამაკაცების სამოდელო კოსტიუმები საკუთარი წარმოებისა. მოვერცხლისფერო შავი მელა და ბეწვეულის სხვა ნაწარმი პატეფონები, ფირფიტები. ტილოს საგაზაფხულო ფეხსაცმელი—მამაკაცისა და ქალისა. სასპორტო საჭონელი: სანადირო თოფები, სასპორტო ფეხსაცმელი, საქანელები, ჰამაკები. საგალანტერიო ნაწარმის დიდი არჩევანი.
1561
თბილკავშირუნივერმაღის დირექცია.

ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა და წიგნის ვაჭრობა — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებისა: პარტიულის—3—57—61, სას. მეურნ.-სამეურნეოს — 3—73—40. ჟურნალ-გაზეთების — 3—73 24. ბ.-მგზ მორიგის—3—26 67. გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ძებ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი". თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტ. რწმუნებული ა — 2255